გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლიანა ოქროპირიძის

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2021 წლის 3 დეკემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 210 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში". დავესწარი ფრაქციის 8 სხდომას და მონონაწილეობა მივიღე -114 საკითხის განხილვაში.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის - 9 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 22 საკითხი.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის- 10 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 55 საკითხი.

ვარ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი. მონაწილეობა მაქვს მიღებული გასვლით სხდომებსა და ტრენინგებში.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი მოსახლეობას სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

ქალაქი გორი

- გელდიაშვილის ქუჩა- სადარბაზოების რეაბილიტაცია. N20 და N22 ბინებს შორის სტალინის ქუჩის მხრიდან შლაგბაუმის გაკეთება.
- ეკატერინე ჯუღაშვილის ქუჩა- გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა.
- შინდისის გმირების N20- ეზოს კეთილმოწყობა, ლიფტის,სახურავის სადარბაზოების პრობლემა.
- შინდისის გმირების N10- ბინამდე მისასვლელი გზის შეკეთება
- სამეფოს ქუჩა N40- სანიაღვრე არხის გაკეთება, წვიმის დროს წარმოშობილი ტბორის, სანიაღვრე სადრენაჟო ორმოს მოწყობა. ეზოს რეაბილიტაცია, თუთის ხის გადაბელვა,გაზონების მოწესრიგება.
- კარალეთის დევნილთა დასახლება- ახალი ბაზრის წინ არსებული ორმოულები და მადაგონის ზებრა გადასასვლელის მოწყობა.

პრობლემების ნაწილი მოგვარებული იქნა, ნაწილი კი გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის ბიუჯეტში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლიანა ოქროპირიძის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი 2022 წლის 17 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ლიანა ოქროპირიძე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ცენტრის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი მანანა მაისურაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- ბექა ლობჟანიძე

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის ლიანა ოქროპირიძის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ლიანა ოქროპირიძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ლიანა ოქროპირიძეს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის

30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ლიანა ოქროპირიძემ აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ლიანა ოქროპირიძემ, მარინე ჭარუაშვილმა და ნუნუ ნუცუბიძემ.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: ბექა ლობჟანიძე

საკრებულოს წევრი: ლიანა ოქროპირიძე